

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

დიპლომირებული მედიკოსის
ამერიკული პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება: დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა განათლების საფეხური: ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: დიპლომირებული მედიკოსი

პროგრამის მოცულობა: **360 ECTS** კრედიტი (1 ECTS კრედიტი უდრის 30 საათს)

სწავლების ენა: ინგლისური

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლების და შესაბამისი დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის სერთიფიკატს. ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. საქართველოს მოქალაქეებისათვის ინგლისური ენის კოეფიციენტი 80%+1-ია.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონით“ - მუხლი 52. პუნქტი 3. კერძოდ:

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის,

რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

თსუ-ის მიერ დადგენილია ინგლისური ენის მოთხოვნები იმ აპლიკანტებისთვის, ვინც ირიცხება ინგლისურენოვან პროგრამაზე ეროვნული გამოცდების გარეშე:

ყველა აპლიკანტი ვალდებულია ჩააბაროს ინგლისური ენის ცოდნის ტესტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

აპლიკანტები გათავისუფლდებიან აღნიშნული ინგლისური ენის ტესტის ჩაბარებისგან შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- თუ დამთავრებული აქვთ სკოლა /კოლეჯი/ უნივერსიტეტი ინგლისურ ენაზე.
- ვალიდური IELTS - ის (>6.5) ან TOEFL - ის (>90) სერთიფიკატის წარმოდგენისას;

სწავლების საფასური: საქართველოს მოქალაქეებისათვის - 8,000 ლარი;

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის - 13,500 აშშ დოლარი.

პრეამბულა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (თსსუ), ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, 2013 წლიდან ამოქმედდა „დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა“ (US MD-Doctor of Medicine Degree Program), რომელიც შემუშავდა და განხორციელდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტის საფუძველზე. პროგრამის დეტალური დამუშავება განხორციელდა ატლანტის ემორის სამედიცინო სკოლის წარმომადგენლებთან ერთად, რომელთა შორის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით პროფესორი კენეტ უოლკერს (იგი 2000 წელს აღიარეს, როგორც აშშ-ს საუკეთესო პროფესორი შინაგან მედიცინაში), პროფესორ გორდონ ჩერჩვორდს (ემორის მოქმედი კურიკულუმის ერთ-ერთი ავტორი), ბილ-უილიამ ელის (ემორის სამედიცინო სკოლის დეკანი), არჩილ უნდილაშვილს (ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი) და სხვ. თსსუ-ს ადმინისტრაციისა და პროფესურის გარდა პროგრამის ე.წ. ჰუმანიტარული ბლოკის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მოწვეული პედაგოგები.

პროგრამის იდეა მდგომარეობდა ახალი, ინოვაციური კურიკულუმის შემუშავებაში, რომელიც იქნებოდა სრულად ინტეგრირებული და მაქსიმალურად გაითვალისწინებდა სამედიცინო კურიკულუმის აგების თანამედროვე მოთხოვნებს. პროგრამას საფუძვლად დაედო ემორის სამედიცინო სკოლის მოდერნიზებული სასწავლო გეგმა, რომელიც მოდიფიცირდა ევროპული და ლოკალური მოთხოვნების გათვალისწინებით.

დღეისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო სკოლებში ფართოდ გამოიყენება მედიცინის სწავლების ისეთი პროგრამები, რომლებიც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის დაწყებისთანავე აქტიურად იყოს ჩართული კლინიკურ საქმიანობაში და, ამავდროულად, განახორციელოს სამეცნიერო საქმიანობა.

ვაცნობიერებთ რა, რომ თანამედროვე მედიცინის მაღალი ხარისხის სტანდარტები, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ბიოსამედიცინო საგნების ფუნდამენტური ცოდნის, სამეცნიერო და კლინიკური უნარ-ჩვევების შერწყმას და ერთიანი პროდუქტის სახით სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვას, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა სრულად ინტეგრირებულია და დაფუძნებულია ბაზისური საბუნებისმეტყველო და კლინიკური დისციპლინების ჰარმონიულ შერწყმაზე. თანამედროვე ექიმი წარმოდგენელია ძირითადი საბუნებისმეტყველო განათლების გარეშე; ამ უკანასკნელს ეფუძნება, შემდგომში, ჯანმრთელ ადამიანში მიმდინარე პროცესების გაგება, სადიაგნოსტიკო საშუალებების ფუნქციონირების ძირითადი მექანიზმების ცოდნა, დაავადებების პათოგენეზური მექანიზმების სწორად განსაზღვრა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ე.წ. ჰუმანიტარული მეცნიერებების საბაზისო ცოდნა, რომელიც კლინიცისტს საშუალებას აძლევს სწორად დაამყაროს და მართოს ურთიერთობები პაციენტთან, კოლეგებთან და საზოგადოების ნებისმიერ სხვა წარმომადგენელთან. სამედიცინო საქმეში, ასევე, უმნიშვნელოვანესია ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბება.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა შესაძლებლობათა ფართო არჩევანის საშუალებას იძლევა:

1. პროგრამა ინგლისურენოვანია, რაც კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხარისხს მნიშვნელოვნად ამაღლებს მსოფლიოს დონეზე;
2. ითვალისწინებს ზოგადსაუნივერსიტეტო განათლების ელემენტებს - პროგრამაში გათვალისწინებულია ჰუმანიტარული საგნების ბლოკი: საქართველოს სამედიცინო განათლების არეალში, ფაქტიურად ერთადერთი პროგრამაა, ხდება ისეთი დისციპლინების სწავლება, როგორებიცაა: ცივილიზაციათა ისტორია, ანთროპოლოგია, ხელოვნების ისტორია, ფილოსოფია, მსოფლიო ლიტერატურა და ა.შ. ყველა ეს დისციპლინა ინტეგრირებულია ე.წ. „დროის ღერძის“ გათვალისწინებით.
3. პროგრამა სრულად ინტეგრირებულია - ინტეგრაციის მიღწევა ხდება სამედიცინო

საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური პრინციპით.

4. პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის პროცესშივე აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის ორი საფეხურის ჩაბარებას - პროგრამა იმგვარადაა სტრუქტურირებული, რომ სტუდენტებმა სწავლის პროცესშივე შეძლონ ჩაბარონ ე.წ. აშშ სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის (United State Medical Licensing Examination - USMLE) ორი საფეხური. ამას გარდა, თსსუ-სა და ემორის უნივერსიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე თსსუ მედიცინის ამერიკული პროგრამის ნებისმიერ სტუდენტს, რომელიც სწავლის პერიოდში ჩააბარებს ამერიკის სალიცენზიო გამოცდების პირველ საფეხურს, უფლება აქვს, კლინიკური როტაციების გარკვეული ნაწილი გაიაროს ემორის სამედიცინო სკოლაში.
5. კვლევითი კომპონენტი - პროგრამაში საკმაო მოცულობითაა წარმოდგენილი კვლევის კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის ჩართვას სამეცნიერო კვლევაში ბაზისურ ან კლინიკურ მედიცინაში, ჯანდაცვის ორგანიზაციაში და მედიცინასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში.
6. პროგრამის ერთ-ერთი თავისებურებაა სტუდენტის საზოგადოებრივი აღზრდის სტრუქტურირებული სისტემა: ყოველი სტუდენტი ასოცირდება საზოგადოებასთან, ამიტომაც ამ საკითხზე ზრუნვას პროგრამაში დიდი როლი აქვს დათმობილი. თითოეული ჯგუფს ჰყავს საზოგადოებრივი მრჩეველი- მცირე ჯგუფის კოორდინატორი, რომელიც სტუდენტს სწავლების სრული კურსის განმავლობაში ეხმარება აკადემიურ გარემოსთან, უნივერსიტეტისა და, ზოგადად, საზოგადოების მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში.
7. პროგრამის ექსტრაკურსულუმური ნაწილია პროექტი „ზაფხული ემორიში“ და „ზამთარი ემორიში“, რომელიც ემორის მხარის ინიციატივით იქნა დაწყებული პროგრამის სტუდენტების წასახალისებლად. აღნიშნული პროექტი წელიწადში ორჯერ ხორციელდება და მიზნად ისახავს თსსუ-ის სტუდენტებისთვის ამერიკული

სამედიცინო განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების გაცნობას. პროექტი 4 კვირის ხანგრძლივობისაა და სტუდენტებს საშუალება აქვთ დაესწრონ მიმდინარე სასწავლო პროცესს (ლექცია-სემინარებს), ასევე დააკვირდნენ ამერიკელი ექიმების ყოველდღიურ კლინიკურ საქმიანობასაც.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მიზანია, მოამზადოს საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე კვალიფიციური ექიმები (მედიკოსები), რომლებიც მზად არიან დიპლომისშემდგომი განათლებისა და სპეციალური პროფესიული მზადებისათვის როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ (მათ შორის – აშშ-ში). სამედიცინო კადრი მზადდება საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის გლობალური სტანდარტებისა და ემორის (აშშ) სამედიცინო სკოლის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

პროგრამის ამოცანებია:

- თანამედროვე, მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების, სამეცნიერო და ტექნოლოგიური წინსვლის შესაბამისი სამედიცინო განათლების მიცემა სტუდენტებისთვის;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (Life long Learning – LLL) უნარისა და მოტივაციის გამომუშავება/მიცემა მომავალი ექიმებისთვის;
- მაღალი კვალიფიკაციის სამედიცინო კადრის მომზადება უახლესი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო, საინფორმაციო და სასწავლო რესურსის გამოყენებით;
- სამედიცინო განათლების შესაბამისობაზე ზრუნვა ეროვნული და საერთაშორისო ჯანდაცვის სისტემების მუდმივად განვითარებად მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები ეფუძნება მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს.

დარგობრივი კომპეტენციები

დარგობრივი ცოდნა

- საბაზო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცოდნა;
- ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა;
- კლინიკური მეცნიერებების ცოდნა;
- წამლები და მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნა;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ცოდნა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება;
- ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა.

დარგობრივი უნარები:

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

1. **პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა**
 - ანამნეზის შეკრება;
 - ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება;
 - კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება;
 - განმარტებებისა და რჩევების მიცემა;
 - პაციენტის გამხსენება და მისი უფლებების დაცვა;
 - პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება.
2. **კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა**
 - კლინიკური მოხსენების სირთულის გაცნობიერება და შეფასება;
 - შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია;
 - დიფერენციული დიაგნოზის გატარება;
 - პაციენტებთან და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა;
 - ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე ზრუნვა;
 - ქრონიკული დაავადების მართვა.

3. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები)

- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება;
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მკურნალობა;
- ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა
- გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება
- გაიდლაინების შესაბამისი გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება;
- ტრავმების მკურნალობა გაიდლაინების შესაბამისად.

4. მედიკამენტების გამოწერა

- მედიკამენტების გასაგებად და აკურატულად გამოწერა;
- შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება;
- მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პაციენტისთვის;
- პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება;
- ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა;
- მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება მკურნალობის დანიშნისას.

5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება

- წნევის გაზომვა;
- ვენეპუნქცია;
- ლუმბალური პუნქცია;
- ვენაში კათეტერის ჩადგმა;
- სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება;
- ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში;
- ჟანგბადის მიწოდება;

- პაციენტების ტრანსპორტირება და მასთან მოპყრობა;
- ნაკერის დადება;
- სისხლის ტრანსფუზია;
- შარდის ბუმბის კათეტერიზაცია;
- შარდის ანალიზის გაკეთება;
- ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია;
- სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება.

6. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია

- პაციენტთან კომუნიკაცია;
- კოლეგებთან კომუნიკაცია;
- კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას;
- ნათესავებთან კომუნიკაცია;
- უნარშეზღუდულ პირებთან კომუნიკაცია;
- კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად;
- წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით);
- კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია;
- კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით;
- კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებთან და მასმედიასთან;
- ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა.

7. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება

- კონფიდენციალობის დაცვა;
- მკურნალობის დროს ეთიკის პრინციპების და ანალიზის უნარის გამოყენება;
- ინფორმირებული თანხმობის მიღება და სათანადო ჩანაწერის გაკეთება;
- სიკვდილის ცნობის გაცემა;
- აუტოფსიის მოთხოვნა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ

შემთხვევებში);

- მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის გამოყენება;
- სამედიცინო საქმიანობის წარმართვა მულტიკულტურულ საზოგადოებაში.

8. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება

- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასება;
- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური ფაქტორების შეფასება;
- დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის დადგენა;
- ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულების დადგენა.

9. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება

- მტკიცებულებების მოყენება პრაქტიკაში;
- შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება;
- გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.

10. სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება

- კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვა;
- პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიება;
- ინფორმაციის შენახვა და შემდეგ მისი გამოყენება;
- პირადი ჩანაწერების შენახვის უნარი (პორთფოლიო).

11. სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება

- სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა; კვლევის დიზაინის, დეტალური და აგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების გაკეთების უნარი;
- 3 პრაქტიკულ საქმიანობაში ბიომედიცინის მეცნიერებების მიღწევების გამოყენების უნარი;
- ბიომედიცინაში სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე;
- რეფერატის/მიმოხილვის დაწერის უნარი;
- სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპების ცოდნა.

12. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი

ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა

- მკურნალობის ჩატარება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანი მიყენების რისკი;
- ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების ატარება;
- საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება;
- ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე.

ამრიგად, დიპლომირებულ მედიკოსს შეუძლია მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვის, სათანადო დონეზე წარმართვისა და მზარდი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. უნარი შესწევს ყოველმხრივად, სათანადოდ და ზუსტად შეაფასოს პროფესიული დახმარების საჭიროება და უზრუნველყოს პაციენტის უსაფრთხოება.

ზოგადი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება - აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;

შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას; აქვს საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული შეფასება, მათი

დამოუკიდებელი ანალიზი, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემა და შემდგომ მათი

გამოყენება. აქვს ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომა, შეუძლია სხვადასხვა მონაცემის გაანალიზება, შეჯამება, ინტეგრაცია, დასკვნის გამოტანა, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა.

დასკვნის უნარი - რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; დიპლომირებულ მედიკოსს შეუძლია სპეციფიკური პრობლემის იდენტიფიკაცია,

მისი გადაჭრის სარწმუნო, უსაფრთხო გზების ოპერატიული მოძიება და, სათანადო

დასკვნის გამოტანის შემდგომ, შესაბამისი ქმედება.

კომუნიკაციის უნარი - თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი. შეუძლია შეხვედრებში მონაწილეობა და თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად და წერილობით გადმოცემა. შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა.

სწავლის უნარი - სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების

გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკული შეფასება. პროფესიული საქმიანობისას აქვს მოძიებული ინფორმაციის გამოყენების უნარი. ღირებულებები - ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

დიპლომირებული მედიკოსის ამერკული პროგრამა სრულად ინტეგრირებულია. პროგრამა შედგება მოდულებისაგან, რომელთა ფარგლებში მიიღწევა როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ინტეგრაცია. სწავლების პირველივე დღეებიდან სასწავლო კურსი „გახდი ექიმი“ ორიენტირებულია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისაკენ. ეს კურსი თავისთავად ინტეგრირებულია, ვინაიდან მოიცავს თეორიულ საკითხებს (მაგალითად, მედიცინის ისტორიიდან) ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლებას (ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გამოკვლევა და სხვ.) და პროფესიონალიზმის საკითხებსაც, ხოლო მეორეს მხრივ, ეხმარება დანარჩენ (თეორიული ხასიათის მოდულებს) პრაქტიკული კომპონენტით გამდიდრებაში. ამავე დროს, აღნიშნული კურსი პირველივე სემესტრიდან

მოიაზრებს სტუდენტების მივლინებას სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში კლინიკურ პრაქტიკაზე დაკვირვების, ე.წ. „shadowing“-ის, მიზნით. ამრიგად, ამერიკული პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევა ხდება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაციით, კლინიკური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებით: მულაჟებისა და სიმულაციური პაციენტების მეშვეობით პირველი წლების განმავლობაში, ხოლო შემდეგ - კლინიკურ გარემოში. სწავლებისას უპირატესობა ენიჭება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

სწავლება სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებზეა დაფუძნებული, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას. სწავლების მეთოდები მოიცავს შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას, პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას, დისკუსიებს, ემპირიულ სწავლებას, სემინარებსა და პროექტებს. ცოდნისა და უნარების შეფასების მიზნით გამოყენებულია ზეპირი და წერიტი ხასიათის გამოცდები, სხვადასხვა სახის ტესტები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), პრეზენტაციები, თეზისები და სხვა.

სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების ფორმები:

- ინტერაქტიური ლექციები, სემინარები, კოლოკვიუმები;
- კლინიკურ გარემოში სწავლება;
- სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება;
- სტანდარტიზებული პაციენტების გამოყენება;
- როლური თამაში;
- ლაბორატორიული სწავლება;
- პრეზენტაციები;
- სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა;
- პრაქტიკა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), რომელიც არის სწავლის შედეგებზე, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობაზე დაფუძნებული და სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლო ერთეულების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას/ცნობას, აგრეთვე სტუდენტთა მობილობას.

კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას (ერთი კრედიტი 30 საათის ტოლია), რაც საჭიროა კონკრეტული სასწავლო კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი. ერთი აკადემიური წელი საშუალოდ მოიცავს

60 კრედიტს. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს და დასკვნით საგამოცდო

შეფასებას; ჯამში მაქსიმუმ 100 ქულა. დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტს დაგროვილი უნდა ჰქონდეს მინიმუმ 11 ქულა. კრედიტის მისაღებად საბოლოო შეფასება არ უნდა იყოს 51-ზე ნაკლები. გამოცდაზე სტუდენტი ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს მინიმუმ 24 ქულას 40 – დან. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით (A, B, C, D, E) და ორი სახის (FX და F) უარყოფით შეფასებას.

- A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

- C) კარგი- მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
- FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50%; სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
- F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები; სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უარყოფითი შეფასების მიღებისას, სტუდენტს უფლება აქვს განმეორებით გამოცდაზე გავიდეს დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 5 დღეში.

ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოყენებულია როგორც ზეპირი, ტესტური, კომბინირებული გამოცდები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), პრეზენტაციები, რეფერატი/თეზისი.

საბაზო სამედიცინო განათლების დასრულებისას სწავლის შედეგების შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებასაც.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტრუქტურა:

პროგრამა მოიცავს ეტაპებს, მოდულებსა და ციკლებს.

პროგრამა შედგება ორი ძირითადი ეტაპისგან:

საწყისი საბაზისო (**premedical**) და სამედიცინო (**medical**) ეტაპები.

საწყისი საბაზისო (**premedical**) ეტაპის (ხანგრძლივობა - 1 წელი)

ძირითადი მიზანია ერთის მხრივ, სტუდენტს მისცეს ფუნდამენტური

განათლება შემდეგ მეცნიერებებში:

ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ხოლო მეორეს მხრივ, სტუდენტმა შეძლოს, მაქსიმალურად გაიფართოვოს განათლების ჰორიზონტი ისეთი ჰუმანიტარული მეცნიერებების სწავლებით, როგორცაა: ხელოვნების ისტორია, მედიცინის ისტორია, ცივილიზაციების ისტორია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; ფილოსოფია, მსოფლიო ლიტერატურა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებები, დასახელებული სახით, აქამდე არ ისწავლებოდა ქართულ უმაღლეს სამედიცინო სკოლებში. სწორედ, ამიტომ, აღნიშნული მიზნისათვის მოწვეულნი არიან ამ დარგების წამყვანი ინგლისურენოვანი სპეციალისტები.

გარდა ამისა, პროგრამას 6 წლის მანძილზე გასდევს დისციპლინა „ გახდი ექიმი“, რომელიც ითვალისწინებს ზოგადი საექიმო უნარ-ჩვევებისა და კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბებას სწავლების პირველივე დღიდან.

სწავლების პროცესი აქტიურად იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის (Evidence Based Medicine) მეთოდებს, მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიების ქსელს, სიმულატორებს, შემთხვევის დემონსტრაციას ავადმყოფის უშუალო თანდასწრებითა და ექიმთა ე.წ. მულტიდისციპლინური გუნდის აქტიური მონაწილეობით.

სამედიცინო (**MEDICAL**) ეტაპი * (ხანგრძლივობა - 5 წელი) სრულად ინტეგრირებულია და შედგება 4 ფაზისაგან:

პირველი ფაზა - მედიცინის საფუძვლები (**Foundations of Medicine**) - (შეესაბამება ემორის სამედიცინო სკოლის საუნივერსიტეტო სწავლების 18 თვეს).

პირველი ფაზა მოიცავს ორ ციკლს :

ა. ჯანმრთელი ადამიანი (**Healthy Human**);

ბ. ადამიანის დაავადებები (Human Disease).

ციკლი "ჯანმრთელი ადამიანი" ისეა ორგანიზებული (და მისი უნივერსალობაც სწორედ ეს არის), რომ იმეორებს ადამიანის განვითარების ბუნებრივ ციკლს, დაბადებიდან სიკვდილამდე მიმდინარე ყველა პროცესს (ჩასახვა, დაბადება, ზრდა, სქესობრივი და ფიზიკური აქტივობა, კვება-მეტაბოლიზმი, სიბერე).

ციკლი "ჯანმრთელი ადამიანი" აერთიანებს შემდეგ მოდულებს:

პროლოგი 1- მედიცინის საფუძვლები, ადამიანის განვითარება; ემბრიოლოგია, უჯრედი, ქსოვილი; სიბერე და სიკვდილი; ნეირომეცნიერება; მოძრაობა და ფიზიკური აქტივობა; კვება და მეტაბოლიზმი; ენდოკრინული კონტროლი; გენეტიკა და ევოლუცია. ზემოაღნიშნულთან ერთად, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს სტუდენტის კლინიკური საქმიანობა, რომელიც ძირითადად ხორციელდება სასწავლო კურსის „გახდი ექიმი“ ფარგლებში კლინიკურ გარემოში: კლინიკებსა, ამბულატორიებსა და პოლიკლინიკური ტიპის დაწესებულებებში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თითოეული მოდულის ცალკეული თემა კომპლექსურად განიხილება და იკითხება სხვადასხვა სამედიცინო დარგის სპეციალისტების მიერ ერთობლივად. მაგალითად, თემა - "სიმსუქნე და მასთან

დაკავშირებული პრობლემები" შუქდება ენდოკრინოლოგის, ბიოქიმიკოსის, ფსიქიატრის და ქირურგის მიერ ერთობლივად. ციკლი "ჯანმრთელი ადამიანი" გრძელდება მოდულით პროლოგი -2 - პათოლოგიის საფუძვლები, როდესაც ვეცნობით პათოლოგიის, იმუნოლოგიის და ფარმაკოლოგიის პრინციპებს. პროლოგი -2 ფაქტიურად წარმოადგენს გარდამავალ მოდულს შემდგომ ციკლზე - "ადამიანის დაავადებები".

ციკლი "ადამიანის დაავადებები" იყენებს ანატომიურ სისტემებზე

დაფუძნებულ ინტეგრაციას და აერთიანებს შემდეგ მოდულებს: კანი და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა; სუნთქვის ორგანოთა სისტემა; გულ-სისხლძარღვთა სისტემა; კუჭ-ნაწლავის ტრაქტი; შარდ-სასქესო სისტემა; ენდოკრინული და რეპროდუქციული სისტემა; ასევე, მოდულები: ჰემატოლოგია; ნეირომეცნიერება 1 და ნეირომეცნიერება 2. თითოეულ მოდულში შემავალი ცალკეული თემა მოიცავს

საბაზისო და

კლინიკური საგნების ინტეგრირებულ სწავლებას.

მეორე ფაზა

სამედიცინო მეცნიერებების გამოყენება (**Applications of Medical Sciences Phase**).

ეს ფაზა უზრუნველყოფს სტუდენტების ძირითად ცოდნის გამოყენებას კლინიკურ მედიცინაში. აღნიშნული ფაზის განმავლობაში სტუდენტი დაკავებულია კლინიკური საქმიანობით, ანუ ახორციელებს ე.წ. დამხმარე სამედიცინო პერსონალის ფუნქციას (Core Clerkship) კლინიკური მედიცინის შემდეგ სფეროებში: შინაგანი მედიცინა (8 კვირა), ქირურგია (8 კვირა), პედიატრია (8 კვირა), მენოპა-გინეკოლოგია (6 კვირა), ფსიქიატრია (6 კვირა), პირველადი ჯანდაცვა (6 კვირა), ასევე ელექტიური (არჩევითი) მოდული (6 კვირა), რომელშიც მოიაზრება, მაგალითად, კრიტიკული და გადაუდებელი მედიცინა, რადიოლოგია (4 კვირა) და სხვ.

მესამე ფაზა

აღმოჩენის ფაზა (**Discovery Phase**) მოიცავს სტრუქტურირებულ დროს სტუდენტებისათვის, რომლებიც აწარმოებენ სამეცნიერო კვლევებს ბაზისურ ან კლინიკურ მედიცინაში, ჯანდაცვის ორგანიზაციაში და მედიცინასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში.

მეოთხე ფაზა

სამედიცინო მეცნიერების ტრანსლაციის ფაზა (**Translation of Medical Sciences**

Phase). ამ ფაზაში სტუდენტი ყალიბდება პრაქტიკოს მედიკოსად. ფაზა ითვალისწინებს ისეთი კლინიკური როტაციების გავლას, როგორებიცაა: კრიტიკული მედიცინა, გადაუდებელი მედიცინა, შინაგანი მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, უროლოგია, ონკოლოგია და სხვ. ამ ფაზაში ხდება კლინიკური მუშაობის გამოცდილების შექმნა ინტენსიური თერაპიისა და გადაუდებელი თერაპიის განყოფილებებში. ფაზა სრულდება დამამთავრებელი კურსით (Capstone Course).

სასწავლო გეგმა (იხ. დანართი)

სამედიცინო განათლების ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის სისტემა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხარისხის განვითარების ერთიანი კონცეფციაა; მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (სისტემა), რომელიც წარმოდგენილია ხარისხის საუნივერსიტეტო ჯგუფით და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებით.

ხარისხის განვითარების პოლიტიკის განხორციელებაზე ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც აკადემიური საბჭოს წინაშე წარადგენს მიმდინარე ანგარიშებს, შეფასებებს და რეკომენდაციებს. იგი აგრეთვე ყოველი წლის ბოლოს აკეთებს მიმდინარე წლის ანგარიშს. უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის განვითარების ერთიანი კონცეფცია. სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ექვემდებარება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს და მოქმედებს ფაკულტეტის პროგრამის შესაბამისად. სქემა გამორიცხავს ინფორმაციის განსხვავებულ ინტერპრეტაციას, მხარს უჭერს და გააჩნია იგივე მიდგომები რაც უნივერსიტეტის მისიას.

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სრულად იზიარებს ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის ციკლურ პარადიგმას - შოვჰარტის ციკლის სახელწოდებით ცნობილს (PDCA):

- დაგეგმე
(Plan=P)
- განახორციელე
(Do=D)
- შეამოწმე
(Check=C)
- იმოქმედე
(Act=A)

ეს მოდელი ყველაზე მეტად შეესაბამება უნივერსიტეტში ხარისხის უწყვეტი განვითარების კონტექსტს: ციკლის ერთი ბრუნის დასრულება მეორეს, ახლის დაწყებას ნიშნავს და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ქმედითად თანამშრომლობს უნივერსიტეტის პრაქტიკულად ყველა აკადემიურ, ადმინისტრაციულ, დამხმარე რგოლთან და სტუდენტებთან. მის მიერ შემუშავებული კრიტერიუმები საჯაროა და განთავსებულია თსუ-ის ვებ-გვერდზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რუბრიკაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევის შედეგები და შეფასებები აკადემიურ საბჭოს წარედგინება, შინაარსის და საჭიროების მიხედვით - განთავსდება ვებ-გვერდზე.

სასწავლო პროგრამების შეფასება ხდება სასწავლო წელიწადში ერთხელ. შეფასების პროცესში გამოყენებულია შიდა და გარე შეფასების ფორმები. ორივე შემთხვევაში გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი.

გარდა ზოგადსაუნივერსიტეტო მიდგომისა, პროგრამაში პერმანენტულად ხორციელდება სტუდენტთა გამოკითხვა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, მოდულების დაგეგმვის, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის შეფასების მიზნით.

პროგრამის როგორც შინაარსობრივ, ისე ხარისხობრივ ანალიზში მონაწილეობას იღებენ და აქტიურად არიან ჩართული ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა

პროგრამის კურსდამთავრებულის - დიპლომირებული მედიკოსის - დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის შესაძლებლობა რეგულირდება დამსაქმებელი მხარის შესაბამისი ქვეყნის

კანონმდებლობით.

პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის უფლება;

დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს, გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, ან გაიაროს პროფესიული მომზადების სპეციალური კურსი (რეზიდენტურა). იმ სტუდენტებს, რომელთაც ჩაბარებული ექნებათ ამერიკის სალიცენზიო გამოცდების ორი საფეხური, უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ რეზიდენტურის შესარჩევ კონკურსში ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პროგრამის დამფუძნებელი:

კენეტ უოლკერი

ატლანტის (აშშ) ემორის სამედიცინო სკოლის პროფესორი

პროგრამის ხელმძღვანელები:

არჩილ უნდილაშვილი

ატლანტის (აშშ) ემორის

სამედიცინო სკოლის საგანმანათლებლო

პროგრამების დირექტორი

რიმა ბერიაშვილი

თსსუ-ის რექტორის მოადგილე,

პროფესორი